

# შეჯამება

3M3A-მ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) მოთხოვნით TMI-ს სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის სისტემის დამოუკიდებელი აუდიტი განახორციელა.

აუდიტი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ეგიდით 2021 წლის ივნისსა და ივლისში ჩატარდა. გაანალიზებულ იქნა მონაცემები 2018 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით. საველე სამუშაოები 2021 წლის ივლისში ჩატარდა.

აუდიტის შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ოპერაციები სრულდება ძალიან პროფესიულად. გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ იმაზეც, რომ პანელის მართვისა და მონაცემთა დამუშავების გუნდებმა, ისევე, როგორც საველე ტექნიკოსებმა, ჩვენთან სრულად ითანამშრომლეს და სამუშაო პროცესი იყო გამჭვირვალე.

სრულმა ანალიზმა დაადასტურა ჩვენი პირველადი შთაბეჭდილება, რომ სერვისი შეიქმნა და მუშაობს უმაღლესი სტანდარტით და შეესაბამება GGTAM-ის პრინციპებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენ დავადგინეთ, რომ როგორც TMI-ის მეთოდოლოგია, ასევე მისი პროტოკოლები და ხარისხის კონტროლის პრაქტიკა შესანიშნავია. ის კარგად არის დოკუმენტირებული, მიჰყვება საერთაშორისო მითითებებს და პრაქტიკაში თანმიმდევრულად არის განხორციელებული.

გვსურს ცალკე გამოვყოთ პანელის მენეჯმენტი, რაც სულ მცირე, უტოლდება, თუკი არ აღემატება კიდევ სხვა ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებს. პანელის კვალიფიციური მენეჯმენტი აისახება მონაცემთა მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო მაჩვენებლებისა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების წარმატებით მიღწევაში.

შესაბამისად, საბოლოო შედეგი არის კარგად შემუშავებული, მაღალი ხარისხის პანელი, რომელიც იძლევა თანმიმდევრულ და საიმედო შედეგებს.

რომ შევაჯამოთ, ჩვენ ვადასტურებთ, რომ TMI-ს სერვისი საქართველოში არის საერთაშორისო სტანდარტის და მტკიცედ ვადასტურებთ, რომ ამ სერვისს შეიძლება დაეყრდნო ზუსტი მონაცემების მისაღებად და ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საბაზრო ვალუტა.

# აუდიტის ფარგლები

- 1) საბაზისო კვლევის განხორციელება და მეთოდოლოგია
- 2) საბაზისო კვლევის წარმომადგენლობითობა
- 3) საბაზისო კვლევის მეთოდოლოგია
- 4) საბაზისო კვლევის შერჩევა
- 5) მონაცემთა შეგროვება საბაზისო კვლევის ფარგლებში
- 6) საბაზისო კვლევების განახლება და განმეორებითობა
- 7) პანელის მოცულობა და შინამეურნეობები, საიდანაც მოდის მონაცემები
- 8) პანელის დიზაინი და საკონტროლო ცვლადები
- 9) პანელში მონაწილე შინამეურნეობების რეკრუტირება
- 10) პანელის სტაბილურობა და პანელის წევრი შინამეურნეობების როტაცია
- 11) პანელის შეწონვა
- 12) პანელის ეფექტიანობა
- 13) პანელის კონტროლი და შესაბამისობა საკონტროლო ცვლადების სამიზნე მაჩვენებლებთან
- 14) პანელის მწარმოებლურობა
- 15) პანელში მონაწილეობის ინსტრუქციების შესრულება და დამთხვევითობის კვლევები
- 16) სატელევიზიო არხების რეფერენსირება
- 17) მონაცემთა გენერირების წესები და მონაცემთა ვალიდაციისა და უარყოფის მიდგომები
- 18) მონაცემთა გენერირება და ვერიფიკაცია, მათ შორის გენერირებული მონაცემების შემოწმება და მათი მიწოდების სერვისის
- 19) შემთხვევითად შერჩეულ 30 შინამეურნეობაში ვიზიტი და შემდეგი საკითხების დამოუკიდებელი გადამოწმება:
  - a. ტელევიზორები, მზომები და მოწყობილობები
  - b. შინამეურნეობების მონაცემები
  - c. რეკრუტირება და პანელში ყოფნის გამოცდილება
  - d. არხების ტესტირება მზომის გამართულად მუშაობის გადამოწმების მიზნით
- 20) მონაცემთა ტექნიკური უსაფრთხოებისა და რეზერვირების სისტემები

შედეგები, მონაცემებთან ერთად GGTAM სტანდარტებსა და 3M3A-ის დიდ სამუშაო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედარებულია შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებსა და სატელევიზიო აუდიტორიის მზომ სისტემებთან.

## რეკომენდაციების განმარტებები

შენიშვნებისა და რეკომენდაციების პრიორიტეტიზაციისთვის 3M3A იყენებს შემდეგ დიაგნოსტიკურ სქემას:

პრიორიტეტის დონე	განმარტება
კარგი	მომსახურების ელემენტი ან ფუნქცია მუშაობს გამართულად ან დასაშვები პარამეტრების ფარგლებში.
გამოსწორება	განსახორციელებელია სასწრაფო ქმედებები მომსახურების მნიშვნელოვანი ელემენტის ან ფუნქციის გამოსასწორებლად და დასაშვებ სტანდარტამდე მისაღწევად.
შეცვლა	არსებული სერვისი ან ფუნქცია არ მუშაობს გამართულად ან სრულყოფილად, როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო და ის საჭიროებს ყურადღებას ან ცვლილებას.
გაუმჯობესება	არსებული სერვისის გაფართოება უფრო მეტი პროდუქტის/მომსახურების მისაწოდებლად.
განვითარება	ახალი ან არსებული სერვისებისა და ფუნქციების დამატება.

# საბაზისო კვლევა

(აუდიტის ფარგლების სექციები 1-6)

TMI-მ წარმოადგინა საბაზისო კვლევასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

საბაზისო კვლევის დიზაინი და ანგარიშები 2017-2021 წლებში

2017-2020 წლების საბაზისო კვლევების მონაცემთა ბაზები

- შეწონილი ინდივიდუალურ და შინამეურნეობების დონეზე

საბაზისო კვლევების კითხვარები

პანელის დიზაინი, საკონტროლო ცვლადები და რეკრუტირების პროცედურები

- პანელის საკონტროლო ცვლადების სამიზნე მაჩვენებლები
- პანელის რეკრუტირების წყაროები

საბაზისო კვლევების აღწერები ნათელი და გამჭვირვალეა. ისინი ეფუძნება აღიარებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს და უზრუნველყოფს შემთხვევით და წარმომადგენლობით შერჩევას, რომელიც შეესატყვისება პანელის დიზაინს.

საბაზისო კვლევები იყენებს საარჩევნო სიებს შერჩევის ჩარჩოსთვის და იქ მოცემულ მისამართებს შემთხვევითად არჩევს. შერჩევის დროს მისამართებს შორის აუცილებელი დისტანცია დაცულია.

შერჩევის ზომა ადეკვატურია და ის პანელის ზომის მინიმუმ ოთხმაგი მოცულობისაა.

პანელში მონაწილე შინამეურნეობების განაწილება ქალაქებს შორის ეფუძნება საყოველთაო აღწერის მონაცემებს. აღსანიშნავია, რომ თბილისში პანელის ზომა კორექტირებულია რაოდენობის შემცირებისკენ, რათა სხვა დასახლებულ პუნქტებში შესაძლებელი იყოს ადეკვატური შერჩევის მიღება. საბაზისო კვლევის განაწილება მცირედით შეიცვალა 2021 წელს, რისი მიზეზიც პანელის გეოგრაფიული გაფართოება გახდა.

გამოპასუხების დონე და წარმატებით დასრულებული ინტერვიუების რაოდენობა ძალიან კარგია და თანმიმდევრულია ქალაქებისა და სამიზნე მაჩვენებლების მიხედვით.

წელი	წარმატებული ინტერვიუები	ყველა კონტაქტი	გამოპასუხების %
2017	3320	8020	41.4%
2018	2753	6526	42.2%
2019	2704	6692	40.4%
2020-21	4500	8835	50.9%

*ცხრილი 1: საბაზისო კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და გამოპასუხების დონე 2017-2021 წლებში*

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევა: წარმატებულად დასრულებული ინტერვიუების რაოდენობა	წარმატებულად დასრულებული ინტერვიუების საშუალო მაჩვენებელი	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: შერჩევის მთლიანი მოცულობა შესაბამისობაშია პანელის ზომასთან და რეკრუტირების საჭიროებებთან. პანელის გაფართოების დროს გაიზარდა საბაზისო კვლევის მოცულობაც. კვლევის გამოპასუხების დონე 40%-50% შორის მერყეობს და ხარისხის კონტროლი კარგია.		<b>კარგი</b>

## პანელის გენერალური ერთობლიობის განახლებები

გენერალური ერთობლიობის მაჩვენებლები ყოველწლიურად ახლდება საბაზისო კვლევების მონაცემების, აგრეთვე 2014 წელს საქართველოში ჩატარებული უკანასკნელი საყოველთაო აღწერის მიხედვით.

2020 წლამდე ჩატარებული საბაზისო კვლევებისთვის გენერალური ერთობლიობის განმარტება იყო შემდეგი:

*„საქართველოს შვიდ უმსხვილეს ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ფოთი და ზუგდიდი) მცხოვრები 4 წლისა და უფროსი ასაკის ინდივიდები,*

*რომლებიც ცხოვრობენ კერძო შინამეურნეობებში და ფლობენ მინიმუმ ერთ ტელევიზორს, რომლის საშუალებითაც უყურებენ სატელევიზიო გადაცემებს“*

უჩვეულოა, თუმცა გენერალური ერთობლიობის მოცულობა მცირდებოდა მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების გამო. პანელის გაფართოების შედეგად, გენერალური ერთობლიობის განმარტება იქნება შემდეგი:

*„ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობის 80%-ზე მეტი გამართულად საუბრობს ქართულად, არიან 4 წლისა და მეტი ასაკის, ცხოვრობენ კერძო შინამეურნეობებში და ფლობენ მინიმუმ ერთ ტელევიზორს, რომლის საშუალებითაც უყურებენ სატელევიზიო გადაცემებს,“*

ამის შედეგად, გენერალური ერთობლიობის მაჩვენებლები გაორმაგდება, როგორც შინამეურნეობის, აგრეთვე ინდივიდების დონეზე.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევის განახლებები აუდიტის პერიოდში	გენერალური ერთობლიობის განახლება წელიწადში ერთხელ მაინც და საკმარისი რაოდენობის კვლევების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პანელის განახლებები და შინამეურნეობების რეკრუტირება	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: საბაზისო კვლევები ყოველწლიურად ტარდება. საჭიროებისამებრ, აგრეთვე ტარდება დამატებითი გამოკითხვები პანელის მოცულობის დასაბალანსებლად. გენერალური ერთობლიობა ახლდება ყოველწლიურად საბაზისო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით.		<b>კარგი</b>

## საბაზისო კვლევის ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლის პროცედურები აღწერილია სიღრმისეულად და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო სტანდარტებს:

- თითოეული ინტერვიუერის მონიტორინგი და შემოწმება, გამოპასუხების მონაცემებისა და პროდუქტიულობის შეფასება და სხვა მსგავსი კონტროლის პროცედურები
- ინტერვიუერების გადაადგილების GPS კონტროლი, დროითი ნიშნულების აღრიცხვა და რედაქტირების კონტროლი
- ინტერვიუების ლოგიკურობისა და თანამიმდევრულობის შემოწმება - ინტერვიუების ხანგრძლივობა, გაცემული პასუხების ლოგიკურობა, ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა და ა.შ.

მონაცემთა შეგროვების პროგრამის გამოყენებით ხდება ინტერვიუების ჩაწერა. ჩატარებული ინტერვიუების 30% მოწმდება ხარისხის კონტროლის ჯგუფის მიერ და საჭიროების შემთხვევაში ხდება შეცდომების გამოსწორება.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევა: შერჩევის მეთოდოლოგია	ხარისხის კონტროლის ინდიკატორები: შემთხვევითობა და ხარისხის კონტროლის ტიპები	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: შერჩევის მეთოდოლოგია შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო სტანდარტებს. ხარისხის კონტროლის პროცედურები რელევანტურია. ისინი სრულად არის დოკუმენტირებული და აღწერილი, ხოლო შედეგები თანამიმდევრული და სტაბილურია.		<b>კარგი</b>

## საბაზისო კვლევის შეწონვა

საბაზისო კვლევის მონაცემები მოწოდებული იყო სრულყოფილად, მონაცემთა ბაზის ფორმატში და შესაძლებელი იყო წონების ანალიზი. საბაზისო კვლევის მონაცემების წონები ეფუძნება საქსტატის მონაცემებში არსებულ შემდეგ სტანდარტულ მახასიათებლებს:

- ასაკი და სქესი
- შინამეურნეობის ზომა
- შინამეურნეობის უფროსის სტატუსი
- ქალაქი

საბაზისო კვლევის შეწონვა დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში “2020-2021\_ES\_Report24.0621”. აღნიშნული მიდგომა ძალიან მკაფიოა და ის იყენებს 2014 წელს საქართველოში ჩატარებულ საყოველთაო აღწერის მონაცემებს, რათა განსაზღვროს შემდეგი კრიტერიუმების სწორი პროპორციები:

- გეოგრაფიული განაწილება x სოფლის ტიპის დასახლება / ქალაქი
- ასაკი x სქესი
- შინამეურნეობის უფროსი x შინამეურნეობის ზომა
- შინამეურნეობის უფროსი x სოფლის ტიპის დასახლება / ქალაქი

აუდიტის შეფასებით საბაზისო კვლევის შეწონვის პროცედურები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. აღწერის შედარებით ახალი მონაცემების არსებობა ამ შემთხვევაში დიდ უპირატესობას წარმოადგენს. ეფექტიანობის მაღალი დონე მიუთითებს, რომ საბაზისო კვლევა კარგად შეესაბამება მოსახლეობის აღწერის მონაცემებს.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევის წარმომადგენლობითობა: შეწონვის კრიტერიუმები	კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენენ სატელევიზიო ყურებადობაზე	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება საბაზისო კვლევის შეწონვისთვის სტაბილური და შესატყვისია სატელევიზიო ყურებადობის გაზომვისთვის. ისინი აგრეთვე შეესაბამება საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.		<b>კარგი</b>



## პანელის გაფართოება

2020-21 წლებში საბაზისო კვლევის მოცვა გაიზარდა, რადგანაც დაგეგმილია პანელის გაფართოება და გაზრდა 540-დან 800 სახლამდე.

საბაზისო კვლევის პროპორციული მიმართება პანელთან (მინიმუმ ოთხმაგი რაოდენობა) შენარჩუნდა თბილისსა და მიმდინარე პანელში ჩართულ 6 დიდ ქალაქში. თუმცა, ახალ დასახლებულ პუნქტებში საბაზისო კვლევის მოცულობა პანელის ზომის რვამაგი მოცულობის გახდა. ეს გარემოება უზრუნველყოფს კვლევის უფრო მეტ სიზუსტესა და რეკრუტირებისთვის აუცილებელი შინამეურნეობის საკმარის რაოდენობას.

ახალი დასახლებული პუნქტების შერჩევასა, რომლებიც უმეტესად წარმოადგენენ მცირე ურბანულ და სოფლის ტიპის დასახლებებს, შერჩევის პირველად ერთეულებად გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტები, რომლებიც თავის მხრივ სტრატეგიული იყვნენ ინტერნეტის დაფარვის მასშტაბის მიხედვით. ურბანულ დასახლებებში საარჩევნო სიებიდან მისამართების შემთხვევითი შერჩევა იქნა გამოყენებული (კვლევის წინა ტალღების მსგავსად), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში კი - შემთხვევითი ხეტიალის მიდგომა წინასწარ შერჩეული საწყისი წერტილიდან (საარჩევნო უბანი, სკოლა, სასურსათო მაღაზია, ავტობუსის გაჩერება).

ხარისხის კონტროლის სხვა პროცედურები წინა ტალღების იდენტურია.


შესაძლებელია წონების გაფანტულობისა და საბაზისო კვლევის სტატისტიკური ეფექტიანობის შეფასება. ჩვენი გამოთვლები ცხადყოფს, რომ წონების მნიშვნელობები შეზღუდულია და საბაზისო კვლევის წონების ნორმალიზებული მაჩვენებლების ეფექტურობა არის 0.82. საბაზისო კვლევების შეწონვისას გამოყენებულია „ასიმეტრიული შემთხვევითი იტერაციების მეთოდით (RIM) შეწონვის“ ინოვაციური მიდგომა, რომელიც კანტარის სტატისტიკოსმა, მაიკლ ბაქსტერმა შეიმუშავა.

Descriptive Statistics  
 ES\_Survey\_2020\_Household\_w\_21\_06\_2021\$ESWeightHH  
 Label: Establishment Survey HH weight  
 N: 4486

		ESWeightHH
	Mean	0.23
	Std.Dev	0.11
	Min	0.04
	Q1	0.15
	Median	0.21
	Q3	0.30
	Max	0.64
	MAD	0.11
	IQR	0.15
	CV	0.46
	Skewness	0.65
	SE.Skewness	0.04
	Kurtosis	-0.08
	N.Valid	4486.00
	Pct.Valid	100.00

*ცხრილი 2: საბაზისო კვლევის წონების ანალიზი*

წონების განაწილების გრაფიკზე აგრეთვე ჩანს, რომ განაწილების მრუდი ზარის ფორმის შესაბამისია.



*გრაფიკი 1: საბაზისო კვლევის (2020) წონების განაწილება*

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევის შესაბამისობა: თეორიული მიზნებისა და შერჩევის სტრუქტურის შესაბამისობის კრიტერიუმები	რელევანტური დემოგრაფიული კონტროლის სამიზნე მაჩვენებლების გამოყენება საჯარო მონაცემებზე დაყრდნობით; ვარიაციის მაჩვენებლები ცდომილების ისეთ დასაშვებ ფარგლებში, როგორც არის +/- 5%.	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: საბაზისო კვლევის წონების ეფექტიანობა (82%) კარგია და მოქცეულია დასაშვები მნიშვნელობების ფარგლებში.		<b>კარგი</b>

## საბაზისო კვლევის კითხვარი

საბაზისო კვლევის კითხვარის შესწავლის შემდგომ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მისი გამოყენებით შესაძლებელია ყველა ისეთი აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც გამოიყენება პანელის კვლევის დასაგეგმად და შინამეურნეობების დასარეკრუტირებლად.

კითხვარი მოიცავს ისეთ სტანდარტულ საკითხებს, როგორებიც არის სატელევიზიო არხების ყურებადობასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ცვლადები, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე, ინფორმაცია შინამეურნეობის წევრების ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ.

ჩვენი ერთადერთი მცირე შენიშვნა საბაზისო კვლევასთან დაკავშირებულია მის მოცულობასთან. ის საკმაოდ გრძელია და ეხება სატელევიზიო არხების ყურებისა და კონტენტის ისეთ საკითხებს, რომელთა დაფარვა საბაზისო კვლევისთვის მკაცრად აუცილებელი არ არის. დამატებით, ეს მონაცემები არც გამოიყენება პანელის კონტროლისთვისაც. ზოგადად, ჩვენ ამ კომენტარს გავაკეთებდით ინტერვიუს ხანგრძლივობის კონტექსტში, როგორც წარმატებული ინტერვიუებისთვის პოტენციურ წინაღობას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გამოპასუხებისა და წარმატებული ინტერვიუების მაჩვენებლები მაღალია, კითხვარის მოცულობის საკითხი არ არის ამ შემთხვევაში პრობლემური. შესაბამისად, ჩვენი ეს დაკვირვება

წმინდად თეორიულია და ჩვენ არ ვიძლევიტ კითხვარში ცვლილებების გატარების რეკომენდაციას.

*დამატებითი შენიშვნა: TMI-მ აღნიშნა, რომ ისინი განიხილავენ საბაზისო კვლევის კითხვარს, რათა მოხდეს მისი ოპტიმიზაცია და ინტერვიუს ხანგრძლივობის შემოკლება.*

საბაზისო კვლევის უკანასკნელი ტალღის საშუალო ხანგრძლივობა 18 წუთი იყო, ხოლო ყველაზე გრძელი ინტერვიუ 59 წუთს გაგრძელდა.

აგრეთვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საბაზისო კვლევის ტიპურ კითხვარში ძირითადი ე.წ „სკრინინგ“ კითხვები ინტერვიუს დასაწყისშივე ისმება. მაგალითად, კითხვები შინამეურნეობის ზომის, წევრების ასაკისა და სქესისა და ინტერნეტთან წვდომის შესახებ. ამ დროს, ინტერვიუს შეწყვეტის შემთხვევაშიც, შესაძლებელია ინტერვიუზე უარის თქმის მაჩვენებლების მონიტორინგი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან მცირეა ნაწილობრივ ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა შეწყვეტილ ინტერვიუებში (<2%), ამ ეტაპზე ეს არ არის ყურადსაღები საკითხი.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
საბაზისო კვლევა: კითხვარი	პანელისთვის შესაბამისი ყველა ინდივიდის დემოგრაფიული მონაცემები და ინფორმაცია შინამეურნეობაში არსებული სატელევიზიო ტექნიკის შესახებ	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი:		<b>კარგი</b>

# პანელის დიზაინი და ფუნქციონირება, წარმოების წესები

(სექციები 7-8, 10-14, 17, 18)

ჩვენ მივიღეთ და განვიხილეთ პანელის დიზაინთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტი:


- სამიზნე მაჩვენებლები და გენერალური ერთობლიობის განახლების აღწერა.
- ხარისხის კონტროლის ანგარიშები 2018-2021 წლებში
- შინამეურნეობის ქცევის 28-დღიანი მაჩვენებლები 2018-2021 წლებში.
- ვალიდაციისა და ხარისხის კონტროლის წესები
- წონების აღწერა და RIM-ები.
- წონების რეპორტები 2018-2021 წლებში

განსახილველი პერიოდის (2018-2021 წლები) ძირითადი ინდიკატორები მიუთითებენ, რომ პანელი უკიდურესად სტაბილურია და ოპერირებს ეფექტიანობის მაღალ დონეზე.

## პანელის დიზაინი და მენეჯმენტი

პანელის მოცულობა და შინამეურნეობები, საიდანაც მოდის მონაცემები

პანელის მოცულობა სტაბილური იყო და არასდროს ყოფილა 500 შინამეურნეობაზე ნაკლები 2018-2021 წლების შესამოწმებელ პერიოდში.



*გრაფიკი 2. პანელის მთლიანი მოცულობა (შინამეურნეობები) 2018-დან 2021 წლის ჩათვლით*

დროთა განმავლობაში პანელის მოცულობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ შინამეურნეობების რაოდენობა, სადაც წარმატებით შედგა მონაცემების შეგროვება და სერვერზე ატვირთვა, სტაბილურია და 2018 წლის იანვრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში მერყეობდა 502-დან 528 სახლამდე. კორონავირუსის პანდემიის პირობებში აღნიშნული მაჩვენებლები ძალიან კარგ მუშაობაზე მიუთითებს.

თვე	შინამეურ. საშუალო რაოდენობა	თვე	შინამეურ. საშუალო რაოდენობა	თვე	შინამეურ. საშუალო რაოდენობა	თვე	შინამეურ. საშუალო რაოდენობა
2018-01	502	2019-01	505	2020-01	512	2021-01	520
2018-02	508	2019-02	523	2020-02	513	2021-02	526
2018-03	511	2019-03	524	2020-03	514	2021-03	528
2018-04	521	2019-04	516	2020-04	520	2021-04	526
2018-05	518	2019-05	524	2020-05	514	2021-05	525
2018-06	518	2019-06	521	2020-06	516		
2018-07	517	2019-07	512	2020-07	520		
2018-08	512	2019-08	506	2020-08	521		
2018-09	516	2019-09	510	2020-09	524		
2018-10	508	2019-10	511	2020-10	517		
2018-11	520	2019-11	512	2020-11	518		
2018-12	511	2019-12	514	2020-12	520		

*ცხრილი 3: საშუალო თვიური მაჩვენებლები შინამეურნეობებისა, საიდანაც წარმატებით შეგროვდა მონაცემები. დამატებითი მონაცემებისა და ინდიკატორების გასაცნობად, იხილეთ დანართი 2 „შინამეურნეობების გამოკასუხების ყოველთვიური მაჩვენებლები 2018-2021 წლებში“*

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის ზომა: პანელში მონაწილე შინამეურნეობების რაოდენობა	პანელში მონაწილე შინამეურნეობების საშუალო თვიური მაჩვენებლების შედარება ოპერატორის მიერ აღებულ ვალდებულებებთან	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: საშუალო თვიური რაოდენობა შინამეურნეობებისა, სადაც წარმატებით განხორციელდა მონაცემების შეგროვება მთლიანი პანელის მოცულობის 93%-დან 98%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და ოპერატორის მიერ აღებულ ვალდებულებებს.		<b>კარგი</b>

## პანელის სამიზნე მაჩვენებლები - კონტროლის პარამეტრები

პანელში მონაწილე შინამეურნეობების ინდივიდუალური კონტროლის პარამეტრების დონეზე ჩაშლის შემთხვევაშიც ჩვენ ვხედავთ პანელის სტაბილურ მუშაობას.

იმისთვის, რომ მოსახერხებელი იყოს ცხრილების მარტივად აღქმა, ამ ანგარიშში მოცემულია მხოლოდ 2021 წლის მაისის მონაცემები. შესასწავლი პერიოდის ყოველთვიური გასაშუალოებული მონაცემების სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ამ ბმულს](#).

თითოეული სამიზნე მაჩვენებლისთვის ჩვენ მითითებული გვაქვს ცდომილების დასაშვები მაჩვენებლები, რომლებიც დათვლილია იდეალური მაჩვენებლიდან კვადრატული ფესვის ამოღებით. ეს კანტარის სტანდარტული მეთოდოლოგიაა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ოპერატორი იყენებს განსხვავებულ მიდგომას, კერძოდ, ვარიაციის 10%-ს და პრაქტიკაში ეს ორივე მიდგომა მისაღებია.

ცხრილი 4a-4d: პანელის წევრების (ინდივიდების) საშუალო თვიური მაჩვენებლები საკონტროლო პარამეტრების მიხედვით

a) ადგილმდებარეობა

ქალაქი	შერჩევის ზომა (n)	წონების ჯამი	შეუწონ. პროპორცია	შეწონილ. პროპორცია	იდეალ. შერჩევა	დასაბალა ნსებელი	კვადრატული ფესვი იდეალურიდან
თბილისი	837	989	0.482	0.664	1154	317	34
რუსთავი	206	116	0.119	0.078	136	-70	12
გორი	72	38	0.041	0.026	45	-27	7
ქუთაისი	248	135	0.143	0.091	158	-90	13
ზუგდიდი	82	44	0.047	0.030	52	-30	7
ფოთი	65	38	0.037	0.026	45	-20	7
ბათუმი	228	130	0.131	0.087	151	-77	12

ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩვენ ვხედავთ, რომ პანელის ზომა თბილისის შემთხვევაში განზრახ არის არაპროპორციულად მცირე. პროპორციული გადანაწილების შემთხვევაში თბილისში მოექცეოდა პანელის მონაწილეთა ორი მესამედი, რაც დანარჩენ ქალაქებში დაკვირვებათა არასაკმარის რაოდენობაში აისახებოდა. ამიტომაც, მიზანშეწონილია გადაწყვეტილება, რომ თბილისში შემცირებული შერჩევა იყოს წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში კი გაზრდილი.

b) შინამეურნეობის ზომა

ზომა	შერჩევის ზომა (n)	წონების ჯამი	შეუწონ. პროპორცია	შეწონილ. პროპორცია	იდეალ. შერჩევა	დასაბალა ნსებელი	კვადრატული ფესვი იდეალურიდან
1 წევრიანი შინამეურნეობა	83	72	0.048	0.048	83	0	9
2 წევრიანი შინამეურნეობა	176	181	0.101	0.121	210	34	14
3 წევრიანი შინამეურნეობა	310	288	0.178	0.193	335	25	18
4 წევრიანი შინამეურნეობა	456	381	0.262	0.256	445	-11	21
5 წევრიანი შინამეურნეობა	325	258	0.187	0.173	301	-24	17
6+ წევრიანი შინამეურნეობა	388	310	0.223	0.208	362	-26	19

ზემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით ჩვენ ვხედავთ, რომ იდეალურ მაჩვენებელთან შედარებით ორ და სამწევრიანი შინამეურნეობები მცირედით ნაკლებად არიან წარმოდგენილნი შერჩევაში. უფრო დიდი შინამეურნეობები, მაგალითად, ოთხ ან უფრო მეტ წევრიანი, კი მცირედით ზედმეტად არიან წარმოდგენილნი, თუმცა მათი მაჩვენებელი ახლოსაა იდეალური ზომის დასაშვებ ზღვრებთან. გადაცდენა სახეზე



მხოლოდ ორწევრიანი შინამეურნეობების შემთხვევაშია, როგორც კვადრატული ფესვის მეთოდით, აგრეთვე, 10%-იანი ვარიაციის მეთოდით გამოთვლილი ცდომილების ჩარჩოებიდან.

ზოგადად, სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის ბევრი ბაზრისთვის არ არის უცხო სირთულეები ასეთი ტიპის შინამეურნეობების რეკრუტირებისას. როგორც წესი, ასეთი ტიპის ოჯახებში ცხოვრებენ ახალგაზრდა წყვილები შვილების გარეშე, რომლებიც დიდი შანსია დასაქმებული იყვნენ და, ამიტომაც, მათთან კონტაქტის დამყარება ძნელია. ეს გამოწვევა TMI-თვის მნიშვნელოვანი სამომავლო პრიორიტეტი უნდა გახდეს და დამატებითი რეკრუტირებისთვის გამიზნულ კვლევებში ამაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს.

c) ტელევიზორების რაოდენობა

რაოდენობა	შერჩევის ზომა (n)	წონების ჯამი	შეუწონ. პროპორცია	შეწონილ. პროპორცია	იდეალ. შერჩევა	დასაბალანსებელი	კვადრატული ფესვი იდეალურიდან
1	1134	952	0.652	0.638	1109	-25	33
2+	604	539	0.348	0.362	629	25	25

შერჩევა დაბალანსებულია ცდომილების ფარგლებშია.

d) ასაკი და სქესი

სქესიxასაკი	შერჩევის ზომა (n)	წონების ჯამი	შეუწონ. პროპორცია	შეწონილ. პროპორცია	იდეალ. შერჩევა	დასაბალანსებელი	კვადრატული ფესვი იდეალურიდან
კ4-9	72	68	0.041	0.046	80	8	9
ქ4-9	75	61	0.043	0.041	71	-4	8
კ10-15	77	57	0.044	0.038	66	-11	8
ქ10-15	83	52	0.048	0.035	61	-22	8
კ16-24	98	99	0.056	0.066	115	17	11
ქ16-24	106	94	0.061	0.063	109	3	10
კ25-34	121	115	0.070	0.077	134	13	12
ქ25-34	129	137	0.074	0.092	160	31	13
კ35-44	112	104	0.064	0.070	122	10	11
ქ35-44	118	120	0.068	0.080	139	21	12
კ45-54	105	90	0.060	0.060	104	-1	10
ქ45-54	132	113	0.076	0.076	132	0	11
კ55-64	108	78	0.062	0.052	90	-18	9
ქ55-64	129	103	0.074	0.069	120	-9	11
კ65+	88	69	0.051	0.046	80	-8	9
ქ65+	185	131	0.106	0.088	153	-32	12

მართალია, შეინიშნება გარკვეული ვარიაცია ასაკისა და სქესის ინდივიდუალური სამიზნე მაჩვენებლების ზოგიერთ პარამეტრში, თუმცა, ჩვენ ვერ ვხედავთ აქ რაიმე

პრობლემას. მაგალითად, მამაკაცები 25-44 ასაკობრივ ჯგუფში შედარებით ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, ხოლო სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცების რაოდენობა ან ემთხვევა სამიზნე მაჩვენებლებს, ან ამ მაჩვენებლებზე მეტია. დამატებით, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მამაკაცები ამ ასაკობრივ ჯგუფში ძნელად მისაწვდომები არიან თითქმის ყველა სხვა ბაზარზე. რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, ისინი ან იმყოფებიან ცდომილების დასაშვებ ფარგლებში, ან ძალიან ახლოს არიან მათთან.

რეკრუტირების პროცედურების გართულება მიმდინარე პანდემიის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შეფასებისას. საერთო ჯამში, ჩვენ ვხედავთ, რომ TMI-მ თავი წარმატებულად და ძალიან კარგად გაართვა ამ გამოწვევას და შეძლო, მთლიანობაში, დაბალანსებული პანელის შენარჩუნება.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის დიზაინი: პანელში მონაწილე შინამეურნეობების რაოდენობა საკონტროლო პარამეტრების მიხედვით	პანელში მონაწილე შინამეურნეობების საშუალო თვიური მაჩვენებლის შესაბამისობა საკონტროლო პარამეტრებთან	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: საშუალო თვიური მაჩვენებლები, ბუნებრივია, მერყეობს დროის განმავლობაში და საერთო საშუალო მაჩვენებლის გამოანგარიშება არ იქნება ინფორმაციული. ზოგადად, სამიზნე მაჩვენებლები შეესაბამება ცდომილების დასაშვებ ზღვრებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პარამეტრში შეინიშნება მცირე ვარიაცია, ეს არ მიუთითებს პანელის სერიოზულ დაუბალანსებლობასა და ცუდ მენეჯმენტზე.		<b>კარგი</b>

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
წარმომადგენლობითობა: პანელის შესაბამისობა - შერჩევის სტრუქტურა vs თეორიული მიზნები	საერთაშორისო დონეზე აპრობირებული ფორმულის გამოყენება სტატისტიკური ცვალებადობის გასაზომად	<b>ნაწილობრივ დადასტურებულია</b>

	<p>(მაგალითად, +/-10% ან სამიზნე მაჩვენებლიდან კვადრატული ფესვის ამოღება).</p> <p>მაჩვენებლები გამოითვლება თვეში ორჯერ, შემთხვევითად შერჩეულ დღეს შეთანხმებული პერიოდის (არანაკლებ 12 თვე) განმავლობაში.</p>	
<p>3M3A-ის კომენტარი:</p> <p>ძირითადი სამიზნე მაჩვენებლები ცდომილების დასაშვებ ზღვრებში ჯდება. შეინიშნება ვარიაცია ზოგიერთ ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენ მაინც გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ის გავლენას მოახდენდა პანელის მუშაობის ეფექტიანობაზე და მოითხოვდა წონების მიხედვით მნიშვნელოვან დაბალანსებას, რისი აუცილებლობაც ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ.</p>	<p><b>შეცვლა</b></p>	

## პანელის დიზაინი და საკონტროლო სამიზნე მაჩვენებლები

„საკონტროლო სამიზნე მაჩვენებლები“ წარმოადგენს ცვლადებს, რომლებიც გამოიყენება პანელის ყოველდღიურად დასაკორექტირებლად და ეფუძნება „ასიმეტრიული შემთხვევითი იტერაციების (RIM) მეთოდით შეწონვას“. „RIM“-ების ჩამონათვალი შემდეგია:


- გეოგრაფიული ადგილმდებარეობა
- შინამეურნეობის ზომა
- ტელევიზორების რაოდენობა შინამეურნეობაში
- სამუშაო სტატუსი
- ბავშვები შინამეურნეობაში
- უცხო ენა
- ინტერნეტი შინამეურნეობაში

- მაუწყებლობის მიღების ტიპი


ეს სია წარმოადგენს პანელის კონტროლის ტიპურ ცვლადებს, რომლებიც დროთა განმავლობაში სტაბილური არიან და მარტივია მათი კლასიფიკაცია. ჩვენ ვხედავთ, რომ სახეზეა პანელის იდეალური ბალანსის დაცვის მაღალი სტანდარტები. წონების კატეგორიების რაოდენობა შედარებით მაღალია ისეთი პანელისთვის, სადაც მხოლოდ 500-ზე ცოტა მეტი შინამეურნეობა არის წარმოდგენილი, თუმცა TMI-მ ძალიან კარგი სამუშაო გასწია იმისთვის, რომ ეკონტროლებინა და დაეცვა პანელის ბალანსი.

ეს დაკვირვება ილუსტრირებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში, სადაც ნათლად ჩანს პანელის ეფექტიანობა - კარგი ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად საჭიროებს ყოველდღიური მონაცემები შეწონვას, იმისთვის, რომ ისინი შეესაბამებოდეს საბაზისო კვლევის შედეგად გამოთვლილ იდეალურ პროპორციებს. პანელის ეფექტიანობის მაჩვენებელი 2018 წლიდან დღემდე მცირედით გაიზარდა. ზოგადად, ეფექტიანობის მაჩვენებელი ყოველთვის უნდა იყოს 0.7-ზე მეტი, როგორც ეს არის მიღებული ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

*გრაფიკი 3. პანელის ზოგადი ეფექტიანობა 2008-2021 წლებში*



გრაფიკი 4. წონების მნიშვნელობების გაფანტულობა 2008-2021 წლებში



Georgia Cities 2021-05-15

city	Sample size(N)	Sum weights	Mean weight	sd	DEFF	EFF
Tbilisi	837	989	1.18	0.43	1.18	0.85
Rustavi	206	116	0.56	0.17	1.03	0.97
Gori	72	38	0.53	0.15	1.02	0.98
Kutaisi	248	135	0.54	0.16	1.03	0.97
Zugdidi	82	44	0.54	0.18	1.03	0.97
Poti	65	38	0.59	0.21	1.04	0.96
Batumi	228	130	0.57	0.17	1.03	0.97

Georgia Gender 2021-05-15

gender	Sample size(N)	Sum weights	Mean weight	sd	DEFF	EFF
Male	781	680	0.87	0.48	1.23	0.81
Female	957	811	0.85	0.50	1.25	0.80

Georgia Household Size 2021-05-15

size_of_hh	Sample size(N)	Sum weights	Mean weight	sd	DEFF	EFF
One Person HH	83	72	0.87	0.50	1.25	0.80
Two Person HH	176	181	1.03	0.60	1.36	0.74
Three Person HH	310	288	0.93	0.53	1.28	0.78
Four Person HH	456	381	0.84	0.46	1.21	0.83
Five Person HH	325	258	0.79	0.44	1.19	0.84
Six+ Person HH	388	310	0.80	0.42	1.18	0.85

Georgia “Socio Economic Class New” 2021-05-15


socio_economic_class_new	Sample size(N)	Sum weights	Mean weight	sd	DEFF	EFF
1	260	229	0.88	0.49	1.24	0.81
2	229	209	0.91	0.51	1.26	0.79
3	228	207	0.91	0.47	1.22	0.82
4	539	446	0.83	0.47	1.22	0.82
5	482	400	0.83	0.49	1.24	0.81

Georgia Age Groups 2021-05-15

age_group	Sample size(N)	Sum weights	Mean weight	sd	DEFF	EFF
4-9 Years Old	147	129	0.88	0.36	1.13	0.88
10-15 Years Old	160	109	0.68	0.30	1.09	0.92
16-24 Years Old	204	193	0.95	0.67	1.45	0.69
25-34 Years Old	250	252	1.01	0.45	1.20	0.83
35-44 Years Old	230	224	0.97	0.45	1.20	0.83
45-54 Years Old	237	203	0.86	0.56	1.31	0.76
55-64 Years Old	237	181	0.76	0.40	1.16	0.86
65+ Years Old	273	200	0.73	0.44	1.19	0.84

*ცხრილი 5: წონების განაწილება ჯგუფების მიხედვით.*

შეწონვის პროცედურები კარგად კონტროლდება და არ დგება იმის საჭიროება, რომ გამოყენებული იყოს იტერაციების გადაჭარბებული რაოდენობა. იტერაციის პროცესის ანალიზისას ჩანს, რომ უჯრების 99.7%-ის შემთხვევაში კონვერგენცია ხდება ისე, როგორც ეს მოსალოდნელია.



*გრაფიკი 5. წონითი RIM-ების კონვერგენცია*

ზოგადად, ჩვენ ვხედავთ კარგად დაბალანსებულ და გამართულ პანელს.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
წარმომადგენლობითობა: პანელის შეწონვის კრიტერიუმები	დიაპაზონი წონების მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის. შეწონვის პროცესის მიმდინარეობა (მაგალითად, იტერაციების რაოდენობა)	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: შეწონვის პროცესი თანმიმდევრული და სტაბილურია. არ შეინიშნება ექსტრემალური ან გადახრილი მნიშვნელობები. ეს ნათლად ჩანს წონების საშუალო მაჩვენებლებისა და წონების გაფანტულობის გრაფიკებში. წონებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები შედარებით სტაბილურია და კარგად კონტროლდება. მომავალში, თუ წონებთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშობა, მარტივად შეიძლება RIM-ში დანაყოფების/უჯრების შემცირება.		<b>კარგი</b>

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
წარმომადგენლობითობა: პანელის ეფექტიანობა	ეფექტიანობის მაჩვენებელი = $1/(1+RSD^2)$ RSD= ფარდობითი სტანდარტული გადახრა. მინიმალური მაჩვენებელი: 70% (პანელის პროპორციული ბუნებიდან გამომდინარე)	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: პანელის ეფექტიანობის მაჩვენებელი კარგია და, აგრეთვე, ჩანს მისი გაუმჯობესების ტენდენციაც. 2018 წლიდან მოყოლებული ის 70%-ზე მაღალია და, ამჟამად, აღემატება 80%-ს.		<b>კარგი</b>

## პანელის მწარმოებლობა

მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პანელში მონაწილე შინამეურნეობებიდან დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდებოდეს მონაცემების შეგროვება, რათა შესაძლებელი იყოს ინდივიდებისა და შინამეურნეობების დონეზე ლონგიტუდური მონაცემების გენერირება. პრაქტიკაში ეს ნიშნავს პანელის მთლიან მოცულობასა და ყოველდღიურად წარმატებული გამოკვლევების მქონე შინამეურნეობებს შორის დიდი სხვაობის თავიდან აცილებას.

შინამეურნეობების ყოველდღიური მონაცემების ფაილის გამოყენებით, ჩვენ გამოვითვალეთ დღეების რაოდენობა, როდესაც წარმატებით მოხდა შინამეურნეობისგან მონაცემების შეგროვება.

ცხრილში 6 მოცემულია პანელის წევრი შინამეურნეობების მწარმოებლობის ძირითადი ინდიკატორების საშუალო მაჩვენებლები (ყოველთვიური მონაცემების საფუძველზე გამოთვლილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები; ყოველთვიური მონაცემების გასაცნობად, იხილეთ დანართი 2):



კვარტალი	Acceptable HHs <sup>1</sup>	HHs not Polled <sup>2</sup>	HHs Polled <sup>3</sup>	HHs in Production <sup>4</sup>	HHs on Directory <sup>5</sup>
Qtr1 2018	510	12	519	524	530
Qtr2 2018	518	13	525	532	538
Qtr3 2018	514	17	522	532	538
Qtr4 2018	513	15	522	530	537
Qtr1 2019	520	11	527	533	539
Qtr2 2019	520	12	526	533	539
Qtr3 2019	514	15	521	530	535
Qtr4 2019	513	14	522	528	537
Qtr1 2020	517	12	529	530	541
Qtr2 2020	517	14	530	531	544
Qtr3 2020	522	12	528	535	541
Qtr4 2020	521	14	525	531	539
Qtr1 2021	526	9	530	535	552
Qtr2 2021	525	9	528	533	553

*ცხრილი 6: შინამეურნეობების გამოკასუხებების ყოველთვიური მაჩვენებლები*

უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, ქვემოთ მოცემულია 2021 წლის მაისის ყოველდღიური მონაცემები. მონაცემების მიხედვით, მაისის თვის ყოველ დღეს დაფიქსირდა შინამეურნეობებიდან მზომის მიერ ინფორმაციის წარმატებით მიღების (polled households) ძალიან მაღალი მაჩვენებლები.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, რომ მაისში პანელში რეგისტრირებული 534 შინამეურნეობებიდან 516, ანუ 97% 28 ან მეტი დღის განმავლობაში იყო აქტიური და მათგან წარმატებით ხდებოდა მონაცემების (HHs Polled) მიღება. ეს არაჩვეულებრივად კარგი შედეგია.


<sup>1</sup> Acceptable HHs - შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც მისაღებად იყო ჩათვლილი Instar Analytic-ში მოსახვედრად.

<sup>2</sup> HHs Not Polled - შინამეურნეობების რაოდენობა, საიდანაც მზომებმა ვერ მოახერხეს წარმატებით მონაცემების გადმოცემა.

<sup>3</sup> HHs Polled - შინამეურნეობების რაოდენობა, საიდანაც მზომებმა წარმატებით მოახერხეს მონაცემების გადმოცემა.

<sup>4</sup> HHs in Production - წარმოებაში არსებული შინამეურნეობები.

<sup>5</sup> HHs on Directory - პანელში რეგისტრირებული შინამეურნეობები.



გრაფიკი 6. გამოპასუხებული შინამეურნეობების მაგალითი ერთი თვის (მაისი) კრილში


ეს შედეგები ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილშიც, სადაც ასახულია იმავე მაისის თვის მონაცემები და უარყოფისა და არგამოპასუხებების მიზეზები. შინამეურნეობათა 94%-ის სტატუსი ყოველდღიურად მისაღები იყო.

	სიხშირე	%
ჯამი	15624	100 %
მისაღები (OK)	14691	94 %
არ არის ინფორმაცია (NF)	147	1 %
შინამეურნეობები, საიდანაც მზომებმა ვერ მოახერხეს წარმატებით მონაცემების გადმოცემა (NP)	691	4 %
უარყოფილი (REJ)	95	1 %

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის მწარმოებლურობა	მისაღები შინამეურნეობების რაოდენობა უნდა წარმოადგენდეს პანელში რეგისტრირებული შინამეურნეობების 90%-ს	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც მისაღებად ითვლება Instar Analytic-ში მოსახვედრად მდგრადია და მათი რაოდენობა 90%-ს მნიშვნელოვნად აღემატება.		<b>კარგი</b>


## ყოველდღიური ყურებადობა და ნულოვანი ყურებადობა პანელში

პანელის მწარმოებლურობის თვალსაჩინოდ საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, რომელზეც ასახულია 2021 წლის მაისში ტელევიზორის ყურებადობის მაჩვენებლები ინდივიდებისა და შინამეურნეობების მიხედვით. მონაცემების თანახმად, საშუალოდ, პანელის წევრი ინდივიდების 60 პროცენტი ყოველდღიურად უყურებს ტელევიზორს თვის ნებისმიერ დღეს (ეს რიცხვი მიღებული ყურებადობის დროის მქონე და ნულოვანი ყურებადობის მქონე ინდივიდების წონათა დაჯამებით, როგორც ეს ასახულია ყოველდღიურად გენერირებულ .swd ფაილებში.)



*გრაფიკი 7a. ნულოვანი ყურებადობა ინდივიდების მიხედვით, მაისი 2021*

ჩვენ აგრეთვე შევამოწმეთ მონაცემები შინამეურნეობების დონეზეც. ბუნებრივია, რომ ნულოვანი ყურებადობა ინდივიდუალურ დონეზე უფრო მაღალია, ვიდრე შინამეურნეობის დონეზე. ეს მოლოდინი დამტკიცდა TMI-ს მონაცემების მაგალითზეც, რომელიც სრულად შეესაბამება სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მონაცემებს სხვა ქვეყნებში.



გრაფიკი 7b. ნულოვანი ყურებადობა შინამეურნეობების მიხედვით, მაისი 2021

## პანელის სტაბილურობა

მიუხედავად იმისა, რომ სასურველია პანელის შემადგენლობა იყოს სტაბილური, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყოველთვის ხდება პანელის წევრი შინამეურნეობების ჩანაცვლება და როტაცია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს რაიმე საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტი. ზოგიერთ ქვეყანასა და ბაზარზე გავრცელებულია შინამეურნეობების ჩანაცვლების იძულებითი მიდგომები და დაწესებულია პანელში მონაწილეობის ხანგრძლივობის პერიოდი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში, შინამეურნეობა ავტომატურად ტოვებს პანელს. სხვა მიდგომის თანახმად კი, პანელში შინამეურნეობების როტაცია ბუნებრივ დენადობაზე არის დაფუძნებული. ჩვენთვის არ არის ცნობილი არც ერთი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც პანელში მონაწილეობის ხანგრძლივობა რაიმე ტიპის გავლენას ახდენდეს შინამეურნეობების ქცევაზე.

ჩვენ შევისწავლეთ შინამეურნეობების როტაციის ყოველწლიური მაჩვენებლები და, გარდა 2018-2019 წლებისა, როდესაც შინამეურნეობათა ჩანაცვლების ხარისხი ოდნავ მაღალია, როტაციის მაჩვენებლები სრულიად მისაღებია.

შინამეურნეობების უნიკალური					
წელი	ID-ს რაოდენობა	გასული	შემოსული	წლის ბოლოს	როტაცია
2018	690	165		525	31%
2019	647	113	122	656	17%
2020	624	90	90	624	14%
2021	559		25	584	-

*ცხრილი 7: შინამეურნეობების როტაციის წლიური მაჩვენებლები*

როტაციის აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ TMI-ის პანელი კარგად არის მართული და თავად პანელის მონაწილეებიც კმაყოფილები არიან.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის სტაბილურობა: ყოველთვიური როტაცია	როტაციის მაჩვენებელი 15%-25%-ს შორის წლიურად.	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი:		<b>კარგი</b>

## რედაქტირება<sup>6</sup>, ვალიდაცია და ხარისხის კონტროლი

TMI-მ მოგვაწოდა ხარისხის კონტროლის, რედაქტირებისა და ვალიდაციის წესების შემდეგი სია:

- გადაუფარავი ყურებადობის შესწორების წესები, რომელიც მოიცავს გადაუფარავ ყურებადობას სესიის დასაწყისში, შუალედში და დასასრულს.- ანუ როდესაც ტელევიზორი ჩართულია, მაგრამ არცერთი მაყურებელი არ არის რეგისტრირებული. სისტემა შეეცდება გადაფაროს ასეთი ყურებადობა მაქსიმუმ 10 წუთის განმავლობაში. ეს არის კანტარის რედაქტირების სისტემის, Atria-ს სტანდარტული წესი.

<sup>6</sup> იგულისხმება Atria-ს პროგრამის სისტემაში არსებული და ინტეგრირებული ავტომატური „რედაქტირების და ვალიდაციის“ წესები.

- უარყოფის წესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შინამეურნეობაში დაინსტალირებული მზომიდან მონაცემები არ აიტვირთა სერვერზე, ან როდესაც ფიქსირდება სრულად გადაუფარავი ყურებადობა და არავალიდური ყურებადობა.
- წარმოებიდან დროებით შეჩერების პროცედურები (withheld) ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში, ან როდესაც სახეზეა შინამეურნეობების შემდეგი ქცევები: არამონიტორირებადი მოწყობილობები ან გახანგრძლივებული არდადეგები.
- სამუშაო პროცედურები (პროცედურები, რომელთა დახმარებითაც ხდება შინამეურნეობიდან მოსული მონაცემების შემოწმება) და გაფრთხილებები. ამ პროცედურების საშუალებით სისტემა აკეთებს მინიშნებას, რომ საჭიროა შინამეურნეობასთან დაკავშირება და მისი ქცევის შემოწმება. არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული შენიშვნები ყოველთვის სწორი იყოს. მაგალითად, ავიღოთ გახანგრძლივებული ყურების შემთხვევა. ზოგიერთ შინამეურნეობაში მართლაც შეიძლება იყოს ისეთი პერიოდები, როდესაც წევრები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უწყვეტად უყურებენ ტელევიზორს და ადასტურებენ ამ ინფორმაციას გადამოწმების დროს.

ასეთი ტიპის წესებისა და პროცედურების რაოდენობა ძალიან დიდია და ჩვენ მათ აქ დეტალურად არ განვიხილავთ. ჩვენ განვიხილეთ TMI-ის მიერ მოწოდებული თითოეული მათგანი და ვადასტურებთ, რომ ხარისხის კონტროლის პროცედურები და გამოყენებული ზღურბლები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

TMI-მ აგრეთვე აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში, ნებისმიერი შინამეურნეობა, რომლის მონაცემებიც უარყოფილია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (3 თვეზე მეტი პერიოდი) სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, ტექნიკოსმა ვერ მოახერხა შინამეურნეობაში ვიზიტი და პრობლემის გამოსწორება, წარმოებიდან დროებით შეჩერების (Withheld) სტატუსიდან პირდაპირ გადაყვანილნი არიან კვლევის დატოვების / გათიშვის (Drop Out) სტატუსზე. ეს ფრიად გონივრული პრაქტიკაა და, რეალურად, სჯობს კიდევ ჩვენს მიერ სხვა სისტემებში ნანახ მიდგომებს.

ჩვენ განვიხილეთ TMI-ის მიერ მოწოდებული ხარისხის კონტროლის ანგარიშები 2018-2021 წლებისთვის და ვერ ვხედავთ რაიმე მიზეზებს შემფოთებისთვის. არ აღმოჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები პრობლემა არც სისტემაში და არც შინამეურნეობებში. როგორც ზემოთ მოცემულ მეექვსე ცხრილშია ასახული, ყოველდღიურად, შინამეურნეობების რაოდენობა, საიდანაც მზომებმა წარმატებით მოახერხეს მონაცემების გადმოცემა (polling) ძალიან მაღალია.

ცალკე აღებულ დღეს ხარვეზების ძირითადი მიზეზი არის შინამეურნეობები, საიდანაც მზომებმა ვერ მოახერხეს წარმატებით მონაცემების გადმოცემა (non-polling), რაც, როგორც წესი, ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს. მას მოსდევს გადაუფარავი

ყურებადობა (Uncovered Viewing), რომლის მაჩვენებლები, საშუალოდ, შესწავლილი თვეების უმეტესობაში, დღეში მხოლოდ ხუთია.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
გადაუფარავი ყურებადობა და უარყოფის წესები	შინამეურნეობების უარყოფის ტიპები და პარამეტრები	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: გადაუფარავი ყურებადობის აღრიცხვის წესები და შეჩერებისა და უარყოფის სხვა კრიტერიუმები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ხარისხის კონტროლის ჩანაწერების გაცნობის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი თანმიმდევრულად გამოიყენება და არ ფიქსირდება ხარვეზის/შეცდომის არც ერთი მაგალითი, რომელიც მნიშვნელოვანი შეშფოთების მიზეზი გახდებოდა.		<b>კარგი</b>

## მონაცემთა მიწოდება

მონაცემთა მიწოდების გადამოწმების მიზნით, შევისწავლეთ TMI-ის მიერ მართულ FTP სერვერებზე სამი ტიპის ფაილის ატვირთვის დროები. ეს ფაილებია მონაცემები აუდიტორიის შესახებ (AS), მონაცემები პროგრამების შესახებ (PS) და მონაცემები სარეკლამო ჭრების განთავსების შესახებ (SS).

ჩვენი დასკვნით, წინასწარ შეთანხმებული დრო აუდიტორიის შესახებ არსებული მონაცემების ფაილის (AS) ასატვირთად არის დილის 10 საათი, ხოლო პროგრამების (PS) და განთავსებების (SS) ფაილებისთვის 15:00. შაბათ-კვირასა და დასვენების დღეებში ფაილები იტვირთება მომდევნო სამუშაო დღეს, რაც გავრცელებული პრაქტიკაა სხვა ქვეყნებშიც.


ასევე განვიხილეთ გასული წლის (ივნისი 2020 - მაისი 2021) ფაილები და მათი ატვირთვის დროები. ზოგადად, მონაცემების მიწოდება შეთანხმებულ დროზე ადრეც კი ხდება, რაც მუშაობის ძალიან კარგი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ პოტენციურ შეფერხებებს და გამოწვევებს, რომლებიც კოვიდ პანდემიის გამო მუშაობის პროცესის ცვლილებებმა გამოიწვია.



	დროული მიწოდება	გამონაკლისი	დროზე მიწოდების %	ატვირთვის საშუალო დრო
AS ფაილები	344	22	94%	09:21
PS ფაილები	351	15	96%	14:05
SS ფაილები	351	15	96%	14:05

ცხრილი 8. ფაილების ატვირთვის დროები და გამონაკლისი შემთხვევები

ფაილების ატვირთვის დროების განაწილება ვიზუალურად წარმოდგენილია შემდეგ გრაფიკზე:



გრაფიკი 8. მონაცემების მიწოდების საშუალო დროები

მონაცემების დაგვიანებით ატვირთვის შემთხვევაშიც კი, ძირითადად, მონაცემების მოწოდება არ აგვიანებს ერთ საათზე მეტს. გასული წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა მონაცემები აუდიტორიის შესახებ (AS) მოწოდებული მნიშვნელოვანი დაგვიანებით.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
მონაცემების დროული მიწოდება	მონაცემების დროულად მიწოდების %	დადასტურებულია
3M3A-ის კომენტარი: მონაცემების მიწოდება თანმიმდევრულია და შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში მათი მიწოდება შეთანხმებულ დროზე ადრეც კი ხდება. გამონაკლისი შემთხვევები იშვიათია და მათი რაოდენობა მინიმალურია.		კარგი

## დამთხვევითობის კვლევები

(სექცია 15)

დამთხვევითობის კვლევები წელიწადში ორჯერ ტარდება. ჩვენ მივიღეთ 2018-2020 წლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშები.

დამთხვევითობის კვლევის კითხვარი სტანდარტული ფორმატისაა. მათში მოცემულია მარტივი კითხვები, რომელთა მიზანია, გადამოწმდეს უყურებდა თუ არა ვინმე ტელევიზორს სატელეფონო ზარის დროს, ასევე, გადამოწმდეს ინფორმაცია შინამეურნეობის წევრების დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ.

მზომის პულტის სწორად გამოყენება მაყურებლის შემთხვევაში აღირიცხება იმ დროს, როდესაც ინდივიდი იმყოფება ოთახში, სადაც ჩართულია ტელევიზორი და ეს ასახულია მზომის პულტზე შესაბამისი ღილაკის დაჭერით. პულტის სწორად გამოყენება არამაყურებლის შემთხვევაში კი მაშინ, თუ ინდივიდი არ იმყოფება ოთახში, სადაც ტელევიზორი ჩართულია და პულტზეც შესაბამისი ღილაკი არ არის გააქტიურებული. დამთხვევითობის კვლევაში არასწორი პასუხების მაგალითია შემთხვევები, როდესაც ინდივიდი იმყოფება ოთახში, სადაც ტელევიზორი ჩართულია და მისი შესაბამისი ღილაკი პულტზე არ არის დაჭერილი, ან ინდივიდი არ იმყოფება ოთახში, სადაც ტელევიზორი ჩართულია, თუმცა პულტზე მისი ღილაკი დაჭერილია.

რესპონდენტის მიერ გაცემული პასუხები შემდეგ დარდება მზომის მიერ მოწოდებულ ყურებადობის რეალურ მაჩვენებლებს და ამის მიხედვით დგინდება რამდენად სწორად იყენებს შინამეურნეობა მზომის პულტს.

ჩატარებული კვლევების შედეგები შემდეგია:

თარიღი	გამოკითხული სახლები	დამთხვევითობა
აპრილი 2018	314	83.8
დეკემბერი 2018	352	84.1
მაისი 2019	301	83.3
დეკემბერი 2019	341	81.2
ივნისი 2020	326	84.3
დეკემბერი 2020	366	89.6

*ცხრილი 9: დამთხვევითობის კვლევები და მისი შედეგები 2018-2020 წლებში*

შედეგები მცირედით მერყეობს სხვადასხვა ჯგუფებისა და ასაკების მიხედვით, თუმცა, არც ერთ სამიზნე ჯგუფში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი პრობლემები.

ზოგადად, ჩვენი შეფასებით, ნებისმიერი შედეგი, სადაც დამთხვევითობა 70%-ზე მაღალია, მისაღებია, ხოლო ყველაფერი, რაც მეტია 80%-ზე არის კარგი შედეგი. 90% ან უფრო მაღალი შედეგი კი არის გამორჩეულად კარგი. შესაბამისად, ჩვენ ვადასტურებთ, რომ TMI-ის დამთხვევითობის კვლევების მაჩვენებლები არის ძალიან კარგი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 და 2019 წლებში დამთხვევითობის კვლევებმა შედარებით დაბალი შედეგები აჩვენა. TMI-მ გამოიჩინა ინიციატივა და გადაწყვიტა წამოეწყო პულტის უკეთ გამოყენების წახალისების კამპანია შინამეურნეობებში. შინამეურნეობებს გაეგზავნათ სპეციალურად შემუშავებული ქვიზი, რომლის დანიშნულებაა პულტის გამოყენების უნარების გაუმჯობესება იყო. ქვიზში მონაწილე შინამეურნეობებმა დამატებითი წამახალისებელი ბონუსები მიიღეს. 3M3A-ის მიერ განხორციელებული სავსე ვიზიტების დროს ბევრმა შინამეურნეობამ აღნიშნა ეს საკითხი და, როგორც ჩანს, ამ წამოწყებამ დადებითი გავლენა მოახდინა შინამეურნეობების ქცევაზე. ეს დამთხვევითობის კვლევების მომდევნო ტალღებშიც აისახა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ TMI ასეთი პროაქტიული მიდგომისთვის შექმნას იმსახურებს.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის მიერ ინსტრუქციების ზუსტი შესრულება: დამთხვევითობის კვლევები	დამთხვევითობის კვლევის ჩატარება წელიწადში ერთხელ მაინც	<b>დადასტურებულია</b>
<p>3M3A-ის კომენტარი:          პანელის მხრიდან პულტის გამოყენების ინსტრუქციების და წესების დაცვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. TMI აქტიურად ადევნებს თვალყურს და მართავს პანელის ქცევას ამ საკითხთან დაკავშირებით.</p>		<b>კარგი</b>

## საველე სამუშაოები: ვიზიტი შინამეურნეობებში

(სექციები 9, 14 და 19)

### ინფორმაცია შინამეურნეობების შესახებ

საერთო ჯამში, 2021 წლის 12 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით პერიოდში, ჩვენ ვეწვიეთ 33 შინამეურნეობას, სადაც 110 ინდივიდი ცხოვრობს.

ვიზიტების ძირითადი მიზნები პანელის მართვისა და ჩანაწერების შემოწმება, აგრეთვე, მზომების სწორი ინსტალაციისა და გამართულად მუშაობის დადასტურება იყო.

ჩვენ ვესტუმრეთ შინამეურნეობებს შემდეგ ქალაქებში:

- თბილისი - 13 შინამეურნეობა
- რუსთავი - 4 შინამეურნეობა
- ქუთაისი - 8 შინამეურნეობა
- ბათუმი - 8 შინამეურნეობა

ამით, ჩვენ გადავაჭარბეთ მიზნად დასახული მინიმუმ 30 სახლის ვიზიტის ვალდებულებას.

## შერჩევის პროცესი

აუდიტორმა სახლები შემთხვევით შეარჩია პანელში მონაწილე ყველა შინამეურნეობის ერთობლიობიდან. შერჩეულ სახლებში ვიზიტები TMI-მ შეათანხმა და ეს დამოკიდებული იყო პანელის წევრების ხელმისაწვდომობასა და მოცლილობაზე.

შინამეურნეობებთან ვიზიტები არ იყო გამიზნული პანელის სტატისტიკურად წარმომადგენლობითი სურათის შესაქმნელად, თუმცა ყურადღება მაინც გამახვილდა ძირითადი კრიტერიუმების განაწილებაზე. შინამეურნეობებში ყველა ვიზიტის დასრულების შემდეგ, ამ მაჩვენებლების განაწილება იყო შემდეგი:

- 19 მცირე შინამეურნეობა (1, 2, ან 3 წევრი)
- 14 დიდი შინამეურნეობა (4, 5, 6 ან 7 წევრი)
- 12 შინამეურნეობა ბავშვებით, 21 ბავშვების გარეშე
- 22 შინამეურნეობა 1 ტელევიზორით, 10 შინამეურნეობა 2 ტელევიზორით და 1 შინამეურნეობა 4 ტელევიზორით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ყველა მონახულებული სახლი აუდიტორის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა შერჩეული. სახლების უმრავლესობა (24) ჩვენ მიერ მიწოდებული თავდაპირველი სიიდან იყო. ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ სახლები არ ყოფილა იმგვარად შერჩეული, რომ მხოლოდ ხელსაყრელი ქცევის მქონე შინამეურნეობები მოხვედრილიყვნენ ჩვენს შერჩევაში.

## ვიზიტის მეთოდოლოგია

ვიზიტის ფორმას წარმოადგენდა შინამეურნეობის მცირე გამოკითხვა, რასაც მოჰყვებოდა სატელევიზიო არხების ტექნიკური ტესტირება.

გამოკითხვა ეხებოდა სამ ძირითად საკითხს:

1. ტელევიზორები და მოწყობილობები, მაუწყებლობის ტიპები, ტელევიზიის დაფარვა და სხვა მოწყობილობების გამოყენების პრაქტიკები.
2. შინამეურნეობის წევრებისა და შინამეურნეობის შესახებ ინფორმაცია: ოჯახის წევრების რაოდენობა, სახელები, ასაკი, სქესი, მიმართება ოჯახის სხვა წევრებთან, სამუშაო სტატუსი, განათლება, ინტერნეტთან წვდომა და სოციალური კლასი.

3. პანელში ყოფნის გამოცდილება, რეკრუტირების პროცესი, წახალისებისა და ბონუსების მიღება, მესამე მხარეების მიერ ჩარევისა და მანიპულაციის არარსებობა.



## პანელის შემოწმება

TMI-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პანელის შესახებ შედარდა სავსე ვიზიტების დროს მონახულებული სახლებიდან მოპოვებულ ინფორმაციასთან. ამ მიდგომის მიზანი იყო იმის გადამოწმება, შეესაბამება თუ არა რეალური პანელი დიზაინში აღწერილ პანელს და რამდენად სწორად ხდება ყურებადობის ინფორმაციის აღრიცხვა.

შედარების ძირითადი სფეროები ასახავს იმ ტიპურ ფაქტორებს, რომლებიც გამოიყენება ხოლმე პანელის სამიზნე მაჩვენებლების დასაგეგმად და შესაფასებლად:

- შინამეურნეობის ზომა
- შინამეურნეობის შემადგენლობა - ასაკი და სქესი
- ბავშვები შინამეურნეობაში
- ტელევიზორების რაოდენობა

- მაუწყებლობის ტიპები (ფასიანი / უფასო)
- ინტერნეტთან წვდომა
- სამუშაო სტატუსი
- განათლების დონე

დაისვა კითხვები სოციო-ეკონომიკური სტატუსის შესახებაც, თუმცა მათი გადამოწმება გაცილებით რთულია პოტენციურად სუბიექტური პასუხების გამო.

შინამეურნეობების მიხედვით შემოწმების შედეგები შემდეგია:

საკითხი	სწორი პასუხი	არასწორი პასუხი
შინამეურნეობის ზომა	32	1
ბავშვები შინამეურნეობაში	33	0
ტელევიზორების რაოდენობა	33	0
მაუწყებლობის ტიპი	33	0
ინტერნეტი	33	0
სამუშაო სტატუსი	28	5
განათლება	31	2
ჯამი	223	8
%	96.5%	3.5%

*ცხრილი 10: შინამეურნეობების მონაცემების შემოწმების შედეგები*

გარკვეული სახის შეცდომები მოსალოდნელია ნებისმიერ პანელში. ჩვენ ვხედავთ, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც არის შინამეურნეობის ზომა, ოჯახში ბავშვების რაოდენობა და შინამეურნეობაში არსებული ტელევიზორების რაოდენობა, შედეგები თითქმის უნაკლოა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ზოგადად, აღმოჩენილი შეცდომების საერთო მაჩვენებელი დაბალია და ეს უკეთესი შედეგია, ვიდრე ფიქსირდება საერთაშორისო სისტემების უმრავლესობაში.

ჩვენი ერთადერთი შენიშვნა დაკავშირებულია შეცდომის შედარებით მაღალ მაჩვენებელთან, როდესაც საქმე ეხება სამუშაო სტატუსის ცვლადს. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება სრულებით ლოგიკურია და, ჩვეულ პირობებშიც კი, სამუშაო სტატუსი შეიძლება ძალიან სწრაფად იცვლებოდეს. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გასულ წელს ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო და აწყდებოდა სირთულეებს დასაქმების კუთხით.

*დამატებითი შენიშვნა: TMI ამ შენიშვნას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ კრიტერიუმის მაჩვენებლების სწრაფი ცვალეზადობის გამო გადაწყდა, რომ მომავალში აღარ მოხდება მისი, როგორც შეწონვის ცვლადის გამოყენება და მომავალ, გაფართოებულ პანელში ის აღარ მიიღებს მონაწილეობას შეწონვაში. ჩვენ ვეთანხმებით ამ კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას.*

## პანელის მართვა

რესპონდენტებს დავუსვით კითხვები ინსტალაციის პროცესთან და ტრენინგებთან დაკავშირებით, აგრეთვე წახალისების სქემებისა და TMI-ის მხრიდან რეგულარული კონტაქტების შესახებ.

შინამეურნეობებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათ კარგი ურთიერთობა აქვთ TMI-სთან და მათთან მომაგრებულ ტექნიკოსთან. კონტაქტების სიხშირე, ჩვეულებრივ, რამდენიმე კვირაში ერთი ზარია და შინამეურნეობებს კარგად ახსოვთ TMI-ის მხრიდან განხორციელებული კონტაქტის მიზეზები.

შინამეურნეობასთან ბოლო კონტაქტების მიზეზები მრავალფეროვანია და ეს პანელის მენეჯმენტის მხრიდან აქტიურ მიდგომაზე მიუთითებს:

- კლასიფიკაციური შემოწმებები
- ხარისხის კონტროლის ზარები, მაგალითად არასწორად გამოყენებული ღილაკები, გახანგრძლივებული უმოქმედობა ან არგამოპასუხება.
- სპეციალური აქტივობები, მაგალითად, პანელში მონაწილეობის წესებისა და ინსტრუქციების დაცვის გასაუმჯობესებლად.
- ერთი შინამეურნეობის წევრმა აღნიშნა, რომ მას დაუკავშირდნენ ბონუსის ვაუჩერის გამოყენების შემდეგ, რათა გადაემოწმებინათ ხომ არ ყოფილა რამე პრობლემები და ხომ არ დაუსვამს მაღაზიას შეკითხვები პანელის შესახებ.

შინამეურნეობები გათვითცნობიერებულნი იყვნენ წამახალისებელი ბონუსების შესახებ და ისინი რეგულარულად იღებენ მათ. პანელის წევრები, როგორც ჩანს, აფასებენ ამას და რამდენიმე შინამეურნეობამ მოწონებით ჩამოგვითვალა ნივთები, რომლებიც მათ ბონუსების საშუალებით შეიძინეს. TMI უზრუნველყოფს, რომ ბონუსების ვაუჩერები დაიხარჯოს ისეთ ნივთებზე, რომლებიც არ მოახდენენ გავლენას სატელევიზიო ყურებადობაზე, როგორც ეს აპრობირებულია საერთაშორისო გამოცდილებით.

ყველა შინამეურნეობა გათვითცნობიერებული იყო პანელის ზოგადი დანიშნულების შესახებ და ყველამ დაადასტურა, რომ მათ გავლილი ჰქონდათ მზომის გამოყენების



ტრენინგი. შინამეურნეობის ყველა წევრს ესმოდა პანელის ფუნქცია და თავიანთი პასუხისმგებლობა.

პანელის მართვის აქტიურ საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს არავითარი პრობლემა.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესაძარებელი სტანდარტი	სტატუსი
პანელის მენეჯმენტი ძალიან კარგია. ჩანაწერები პანელის შესახებ ზუსტია. TMI უნდა შევაქოთ პანელის მართვის ბრწყინვალე და პროაქტიული მიდგომებისათვის.		კარგი

## პანელის რეკრუტირება

რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ როგორ მოხდა მათი რეკრუტირება პანელში და აგრეთვე დავუსვით რამდენიმე „სკრინერ“ კითხვა, რათა გამოგვერიცხა ჩარევა, ან მანიპულაცია.

რეკრუტირების შესახებ დასმული შეკითხვების მიზანია, შემოწმდეს ნამდვილად შეირჩა თუ არა რესპონდენტი საბაზისო კვლევიდან, რომელიც, როგორც წესი, პირისპირ გამოკითხვის მეთოდით ტარდება. შინამეურნეობების ყველა წევრს არ ახსოვდა რეკრუტირების პროცედურის დეტალები (უნდა აღინიშნოს, რომ, შესაძლოა, ჩვენ გამოვკითხეთ შინამეურნეობის სხვა წევრი, რომელიც არ ესწრებოდა რეკრუტირების თავდაპირველ პროცესს), თუმცა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ პირისპირ გამოკითხვის მეთოდით ჩატარებული საბაზისო კვლევის შემდეგ მათ ტელეფონით დაუკავშირდნენ TMI-ის რეკრუტერები.

რესპონდენტებს აგრეთვე ვკითხეთ, ხომ არ დაკავშირებია მათ ვინმე TMI-ის გარდა და ხომ არ დაუსვამს კითხვები ყურებადობის ან პანელში მონაწილეობის შესახებ. აგრეთვე, რესპონდენტებს ვკითხეთ, ხომ არ იცნობდნენ რომელიმე შინამეურნეობას, რომელიც ასევე პანელის წევრია. ამ საკითხებთან დაკავშირებით არ ყოფილა არავითარი პრობლემა.

TMI-მ აგრეთვე მოგვაწოდა დეტალური ინფორმაცია რეკრუტირების წყაროების შესახებ, რომელიც სათავეს 2015 წლიდან იღებს. რეკრუტირების წყაროების მიხედვით, პანელისტების პროცენტული განაწილება შემდეგია:

- შესაბამისი წლის საბაზისო კვლევა (2015-2020) 64%
- წინასაარჩევნო კვლევები (2016, 2020) 2%
- სხვა გამოკითხვები (სატრანსპორტო გამოკითხვა / საკრედიტო ბარათების გამოკითხვა) 3%
- დამატებითი გამოკითხვები (2015-2019) 30%

პანელის უმრავლესობა (64%) მოდის საბაზისო კვლევებიდან, ხოლო 30% კი დამატებით გამოკითხვებიდან, რომლებიც იგეგმება რთულად დასარეკრუტირებელი დემოგრაფიული მახასიათებლების მქონე ოჯახების მოსაძიებლად.

დამატებითი ტალღების საშუალებით შეგროვებული შინამეურნეობების არჩევა რეკრუტირებისთვის შემთხვევითი შერჩევის გზით ხდება. TMI-ის მიერ შექმნილ კომპიუტერულ პროგრამაში საჭირო დემოგრაფიული მაჩვენებლების მქონე შინამეურნეობები შემთხვევითად ირჩევა შემდგომი კონტაქტისთვის.

საბაზისო კვლევისა და დამატებითი ტალღების მეთოდოლოგია სათანადოდ იცავს შემთხვევითობის პრინციპებს. შინამეურნეობები ან მისამართების შემთხვევითი შერჩევის გზით ან შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით არიან შერჩეულნი (იხილეთ სექცია 3 საბაზისო კვლევისა და შერჩევის მეთოდოლოგიების სრული აღწერების სანახავად).

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
რეკრუტირება	პანელის მონაწილეების შემთხვევითი შერჩევა საბაზისო კვლევიდან ან სხვა დამატებითი კვლევების საშუალებით	<b>დადასტურებულია</b>
3M3A-ის კომენტარი: რეკრუტირების მიდგომები მიჰყვება სტანდარტულ პროცედურებს და ძირითადად რეკრუტირება ხდება საბაზისო კვლევებიდან. პანელის დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით დასაბალანსებლად აგრეთვე გამოიყენება დამატებითი კვლევები.		<b>კარგი</b>

## რეგულარული სტუმრები

ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც მონაცემების გაცნობის საწყის ეტაპზე ჩვენი ყურადღება მიიქცია, დაკავშირებული იყო სტუმრების ყურებადობის მაღალ მაჩვენებელთან, რომელიც შინამეურნეობების 10%-ზე მეტში ხშირად ფიქსირდებოდა.

პანელის შესწავლისას გამოირკვა, რომ მასში მაღალია ე.წ. „რეგულარული სტუმრების“ რაოდენობა. როგორც ჩანს, ეს საქართველოსთვის დამახასიათებელია ფენომენია.

სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის უმეტეს სისტემებში ხდება სტუმრების რეგისტრაცია, თუმცა ისინი არ ითვლებიან გენერალური ერთობლიობის შემადგენლობაში. მათ აგრეთვე არ აქვთ მინიჭებული თავიანთი წონა და, პირობითად, შინამეურნეობის სხვა წევრის შესაბამისი წონა ენიჭება. ინფორმაცია სტუმრის შესახებ შეზღუდულია და მხოლოდ სქესი და ასაკი არის ცნობილი. დანარჩენი მახასიათებლების შესავსებად გამოიყენება შინამეურნეობის უფროსის, ან დიასახლისის მონაცემები.

საქართველოში არსებულ პანელში არსებობს განსხვავება „ჩვეულებრივ სტუმრებსა“ და „რეგულარულ სტუმრებს“ შორის. „რეგულარული სტუმრები“ არიან ინდივიდები, რომლებიც ხშირად სტუმრობენ შინამეურნეობას, თუმცა ეს არ არის მათი ძირითადი საცხოვრებელი ან ეს არის მათი ძირითადი საცხოვრებელი, თუმცა ერთ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში. ეს მიდგომა შეესაბამება საქსტატის განმარტებას, რომელიც შინამეურნეობის წევრების განსაზღვრას ეხება.

თუმცა, შინამეურნეობის წევრების მსგავსად, რეგულარული სტუმრების შესახებაც შესაძლებელია სრული დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვება.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ TMI მიჰყვება საერთაშორისო მიდგომებს და კანტარის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ პროცედურებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ, ქართული ბაზრის შემთხვევაში შესაძლოა განსხვავებული მიდგომის გამოყენებაც.

პროგრამა „Instar“-ში გაკეთებული გამოთვლების თანახმად სტუმრები მიიჩნევიან გენერალური ერთობლიობის წევრებად და ისინი იღებენ მონაწილეობას სატელევიზიო მოცვის (reach) გამოთვლებში.

ჩვენ შევისწავლეთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური კლიენტის სარეკლამო აქტივობები 2021 წლის ივნისის თვეში პროგრამა „Instar“-ის გამოყენებით. ამ პერიოდში დაფიქსირდა 12 720 განთავსება (spot) შემდეგი მახასიათებლებით:

Individuals 18+	With guests	Without guests	Guests contribution	% increase
Universe	1211	1211		
Sample	1456	1399	57	4.1%
TVRs	5 496	5 256	239.27	4.6%

*ცხრილი 11a: ივნისი 2021, ტოპ განთავსებების მონაცემები, Instar Analytics 2*

სტუმრებმა (57 დამატებითი 18+ წლის ინდივიდი) 4.6%-ით გაზარდეს სატელევიზიო რეიტინგი.

Instar-ის გამოთვლების მიხედვით კი მოცვა (reach) და სიხშირე იყო შემდეგი:

Campaign	Total Inds 18+ with guests
GRP	5 496
OTS	69
1+ (%)	79.7

*ცხრილი 11b: ივნისი 2021, განთავსებების მოცვა (reach) და სიხშირე Instar Analytics 3*

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ მომავალ საბაზისო კვლევებში განხილული იყოს რეგულარული სტუმრების სტატუსის შესახებ მონაცემების შეგროვება. ამით, შესაძლებელი იქნება მათი გათვალისწინება პანელის დიზაინში. აქამდე TMI მხოლოდ იმ სამიზნე მაჩვენებლებს იყენებდა, რომელთა შესახებაც არსებობდა საქსტატის ოფიციალური მონაცემები.

თუმცა, ბევრ ქვეყანაში საბაზისო კვლევის საშუალებით ხდება ისეთი მონაცემების მოპოვებაც, რომელთა შესატყვისი არ არსებობს ან არ არის ხელმისაწვდომი აღწერის ოფიციალურ მონაცემებში. კითხვების დასმა რეგულარული სტუმრების შესახებ ამ პრაქტიკად შეგვიძლია აღვიქვათ. ამგვარად, TMI-საც შეეძლება უზრუნველყოს რეგულარული სტუმრების გენერალურ ერთობლიობაში გათვალისწინება.

შესაფასებელი საკითხი: პანელის დიზაინი - რეგულარული სტუმრები	რეგულარული სტუმრები	სტატუსი
3M3A-ის კომენტარი: სტუმრების გათვალისწინებისა და რეგულარულ სტუმრებად რეგისტრაციის პრაქტიკა სწორია. გასაგებია, რომ პულტზე		განვითარება

<p>სტანდარტული ღილაკის მინიჭებით TMI ცდილობს გამარტივოს სტუმრების რეგისტრაცია. ჩვენი რჩევაა, რომ რეგულარული სტუმრების შესახებ კითხვები დაისვას საბაზისო კვლევის დროსაც. ამით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გენერალურ ერთობლიობაზე სტუმრების გავლენის მონიტორინგი და კონტროლი.</p>	
---	--

*დამატებითი კომენტარი: TMI-მ აღნიშნა, რომ ისინი სიამოვნებით განიხილავენ ამ საკითხს ინდუსტრიის გამომხაურების საფუძველზე.*

## არხების ტესტირება

არხების ტესტირება ჩატარდა თითოეულ შინამეურნეობაში არსებულ თითოეულ ტელევიზორსა და მზომზე შემდეგი მიდგომით:

- (i) ტესტი იწყება ტელევიზორის / მზომის გამორთვითა და შემდეგ ჩართვით, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის გაშვების (startup) დაკვირვება.
- (ii) ხდება შინამეურნეობის წევრის და/ან სტუმრის რეგისტრაცია მზომზე, აგრეთვე ხდება არხების გადართვა მინიმუმ ერთი წუთის ან მაქსიმუმ სამი წუთის ინტერვალით, როგორც ძირითად, აგრეთვე დამატებით ტელევიზორებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება არარეფერენსირებული არხების ან ალტერნატიული პლატფორმების, მაგალითად YouTube-ის, ყურებაც.
- (iii) ხდება რეგისტრაციის მინიმუმ ერთხელ ცვლილება ტესტირების დროს, როგორც წესი ახალი წევრის ან სტუმრის დამატებით. ზოგადი მიდგომის თანახმად, ვთხოვთ შინამეურნეობის წევრმა თავად მართოს მზომის პულტი და ამით ხდება შინამეურნეობის წევრების ცოდნის შეფასებაც.
- (iv) ბოლოს, ხდება ტელევიზორისა და მზომის გამორთვა და შემოწმება. მრავალტელევიზორიან შინამეურნეობებში სხვა ტელევიზორებიც ანალოგიურად მოწმდება.

არხები შემთხვევითად იქნა არჩეული და, როგორც წესი, ვთხოვდით შინამეურნეობის წევრს თავად აერჩია რომელიმე სატელევიზიო არხი. ამგვარად, ტესტირებულ არხებს შორის მოხვდნენ შემდეგი სატელევიზიო არხები (რიგითობა პირობითია):

- იმედი

- განათლება
- ტვ პირველი
- პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი)
- რუსთავი 2
- მთავარი
- ფორმულა
- მაესტრო
- PosTV
- GDS
- აჭარა
- კავკასია
- პალიტრა ნიუსი
- მარაო
- ერთსულოვნება
- Euronews
- კომედია არხი
- Comedy TV
- ობიექტივი
- TV25
- Cartoon Network
- სტარვიზია
- Silk

ჩვენ მრავალი მზომი სისტემა შეგვიმოწმებია სხვადასხვა ლოკაციებსა და ქვეყნებში და ვიცით, რომ, ზოგადად, ცდომილებების მაჩვენებლები, საშუალოდ, 5%-6%-ის ფარგლებში მერყეობს. ხშირად, აღნიშნული ცდომილებები საბოლოო მონაცემებში სისტემაში ჩადებული რედაქტირების წესების (editing rules) საშუალებით სწორდება.

ასეთი შეცდომები ბუნებრივად წარმოიშობა ხოლმე მრავალი მიზეზის გამო, მაგალითად, მაუწყებლობის ხარვეზი, შინამეურნეობის წევრის მიერ ხელის შეშლა, ან არასრულყოფილი რეფერენსირება. აღსანიშნავია, რომ მცირე ხანგრძლივობის ტესტები (რომლებიც 1 წუთამდე გრძელდება) უფრო მეტ შეცდომას წარმოშობს, ვიდრე ბუნებრივი ყურება. მაგალითად, თუ ტესტი განხორციელდა სარეკლამო ჭრის დროს, შეიძლება უფრო რთული იყოს დროის მცირე მონაკვეთში დამთხვევის დაფიქსირება.

ამიტომაც, ცდომილების საერთო მაჩვენებელი არ არის ტესტირების კრიტიკული ელემენტი, იმ დაშვებით, თუ ის მოსალოდნელ საზღვრებშია.

თუ ცდომილებები შემთხვევითია და არ აღინიშნება მიკერძოება ან ტენდენცია, რომ შეცდომები ძირითადად კონკრეტული სიტუაციებზე ახდენენ გავლენას, მაშინ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ შეცდომები, ფაქტობრივად, ერთმანეთს აბათილებენ.

შედეგად, ცდომილებები არცერთ არხს არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში და არ მოახდენს მათზე ნეგატიურ გავლენას.

არხების ტესტირების შედეგები შემდეგია:

ტესტირებული ტელევიზორები*	42	აღწერა
სულ განხორციელებული აქტივობა	168	არხების ტესტირება, გამორთვა/რეგისტრაციის მოხსნა
სწორი	160	არხების დამთხვევა და მაყურებლის რეგისტრაცია
არასწორი / შეცდომა	8	არ მოხდა დამთხვევა = 6 არხის არასწორი დამთხვევა = 2
<b>ჯამი</b>	<b>95%</b>	

*ცხრილი 12: არხების ტესტირების შედეგები*

\* 3 ტელევიზორი არ შემოწმდა: ერთ სახლს ტესტირების მომენტში არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, ერთგან ტელევიზორის ჩართვა შეეძლო მხოლოდ ოჯახის იმ წევრს, რომელიც იმ მომენტში არ იმყოფებოდა სახლში, ხოლო მესამეგან ერთი ტელევიზორი განლაგებული იყო ოთახში, სადაც ოჯახის ხანდაზმულ წევრს ეძინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაფიქსირებული შედეგები ტიპურია აუდიო-დამთხვევის სისტემებისთვის.

დაფიქსირებული 8 შეცდომა 8 სხვადასხვა არხზე დაფიქსირდა და, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეცდომები ნამდვილად შემთხვევითია და ისინი არ ახდენენ ზეგავლენას რომელიმე არხზე.

შესაფასებელი საკითხი: არხების რეფერენსირება	სტატუსი
ხდება არხების სწორი რეფერირება. შინამეურნეობის წევრებმა სწორად უპასუხეს კითხვებს და შეცდომები ჯდება დასაშვებ ფარგლებში. არ შეინიშნება მიკერძოების კვალი.	<b>კარგი</b>

## ყურება სხვა მოწყობილობების საშუალებით

ზოგადი დაკვირვება სატელევიზიო ყურებადობასთან დაკავშირებით: ჩვენ მიერ შესწავლილი შინამეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილში განაცხადეს, რომ სხვადასხვა ტიპის ყურებისთვის ისინი აგრეთვე იყენებენ სხვა მოწყობილობებს, მაგალითად ლეპტოპებს, ტელეფონებსა და პლანშეტურ კომპიუტერებს.

ეს 33-დან 20 შინამეურნეობაში აღნიშნეს და თან დასძინეს, რომ ისინი ამგვარად უყურებენ მრავალფეროვან კონტენტს, დაწყებული პატარა ვიდეოებიდან დამთავრებული მხატვრულ ფილმებამდე.

ზოგიერთი IPTV პლატფორმა მომხმარებელს უკვე სთავაზობს „ნახევრად-ჰკვიან“ (‘semi-smart’) სერვისებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია YouTube-ის ყურება და სხვა სახის კონტენტის მიღებაც ტელევიზორის საშუალებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყურების დიდი ნაწილის მოცვა და გაზომვა შეუძლებელი ხდება. მოსალოდნელია, რომ ყურების ასეთი წილი მომავალში მხოლოდ გაიზარდოს. ამან აგრეთვე შესაძლოა ჩამოაყალიბოს ისეთი ტიპის ქცევა, როდესაც მომხმარებელი გადადის სხვადასხვა OTT პლატფორმებზე, როგორც ეს მოხდა მრავალ ქვეყანაში Netflix, Disney+, Amazon-სა და სხვა პლატფორმების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ეს არ არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, ჩვენ მაინც გვსურს ვურჩიოთ TMI-სა და ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს, რომ, დროთა განმავლობაში, აკონტროლონ და ყურადღება მიაქციონ დაუმთხვეველ (unmatched) ყურებადობას და მომავლისთვის იფიქრონ როუტერების მზომების (router meters) ინსტალაციაზე პანელში. ამით შესაძლებელი იქნება შინამეურნეობაში ციფრული მოწყობილობებით ყურებადობის გაზომვა.

## მონაცემთა ტექნიკური უსაფრთხოებისა და რეზერვირების სისტემები

(სექციები 16 და 20)

მოწოდებული დოკუმენტაციები და TMI-ის ოფისები შემოწმდა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ფიზიკური უსაფრთხოება - თანამშრომლების წვდომა და უფლებები



- ქსელის უსაფრთხოება
- მონაცემების დამუშავების სარეზერვო ასლების შექმნა
- არხების რეფერენსირების რეზერვირება და გადაზღვევა

## ფიზიკური უსაფრთხოება

TMI-ის ოფისი არის სრულად დაცული და ოთახები იმგვარად არის ერთმანეთისგან გამოყოფილი, რომ აღკვეთილი იყოს უნებართვო წვდომა. ოფისი დაყოფილია 9 ზონად, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფუნქციებსა და სივრცეებს.

ოფისი სრულად არის აღჭურვილი სიგნალიზაციით და დაფარულია ვიდეოკამერებით (როგორც ძირითადი, აგრეთვე სარეზერვო ფართი), რომელთა წვდომა და მართვა ავტორიზებულ პერსონალს დისტანციურადაც შეუძლია. წვდომა ხორციელდება ბარათების მიხედვით. ინფორმაცია წვდომის ისტორიის შესახებ ინახება და აღირიცხება.

პერსონალის მხოლოდ შესაბამის წევრებს აქვთ წვდომა იმ ადგილებზე, რომლებიც აუცილებელია მათი სამუშაოსთვის. ეს მიდგომები ნათლად წარმოჩნდა ოფისში ვიზიტის დროსაც. შესწავლილ იქნა თანამშრომლების სრული სიაც, სადაც აღწერილი იყო მათი პოზიციები, როლები და წვდომის უფლებები სხვადასხვა ადგილებზე.

პერსონალის არცერთი წევრს არ აქვს წვდომა ოფისის ყველა სივრცეზე.

ყველაზე მკაცრად დაცულ ადგილებში, როგორცაა სერვერის ოთახები, წვდომა უკიდურესად ლიმიტირებულია.

რეზერვირებისთვის განკუთვნილი ორი სივრცე განლაგებულია სხვადასხვა ოფისებში.

ოფისში არსებული ფიზიკური უსაფრთხოების დემონსტრაციისთვის გამოდგება შემდეგი მაგალითი: როდესაც ოფისში TMI-ის თანამშრომლების გარდა სხვადასხვა მიზეზის გამო, არათანამშრომლებიც იმყოფებიან, მაშინ ოფისში ინთება „სტუმრის“ გამაფრთხილებელი ნიშანი. სტუმრის გამაფრთხილებელი ნიშნის მოქმედება ამავდროულად ისახება პანელის ადმინისტრაციის ოთახშიც და სანამ ის ანთებულია, პანელის ადმინისტრაციის ოთახის კარი არ იღება.



## ქსელის უსაფრთხოება

ოფისის შიგნით მონაცემებთან წვდომა ხორციელდება იზოლირებული შიდა ქსელის საშუალებით. ხოლო გარედან წვდომის შემთხვევაში გამოიყენება VPN პროტოკოლი. მონაცემებთან წვდომა ხორციელდება ფიზიკურ და პროგრამულ ნაწილში ორსაფეხურიანი ავტორიზაციის გავლის შემდეგ. პაროლები ახლდება წელიწადში ერთხელ მაინც.

ქსელთან დაკავშირებულ ყველა მოწყობილობაზე დაინსტალირებული არის ანტი-ვირუსული პროგრამული უზრუნველყოფა.

ქსელთან წვდომა აქვთ მხოლოდ ავტორიზებულ IP მისამართებს და ყველა სერვერის პორტები დაბლოკილია.

მონაცემები ინახება შიდა ქსელში, ლოკალურ სერვერებზე და არა თანამშრომლების სამუშაო კომპიუტერებზე. ის არ ტოვებს ლოკალურ სერვერებს და არ იტვირთება ქლაუდ სერვერებზე ან ოფისს გარეთ რაიმე სხვა საშუალებებზე წარმოების პროცესში.

პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის ქსელში გამოიყენება 2 სხვადასხვა შიფრაციისა და დეშიფრაციის მეთოდი. მონაცემთა ბაზაში გაგზავნისას ის ინახება დაშიფრულ მდგომარეობაში, ხოლო ბაზიდან გამოთხოვისას მას ლოკალურ მოწყობილობაზე უკეთდება სამუშაო პროგრამის მიერ დეშიფრაცია.



## საველე სამუშაოების უსაფრთხოება

ტექნიკოსებს, რომლებიც ახორციელებენ საველე სამუშაოებს, გავლილი აქვთ უსაფრთხოების ტრენინგი, რათა თავიდან აიცილონ თვალთვალი და დაკვირვება. ეს ტრენინგი სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს:

- ავტომობილის პანელური სახლებისგან მოშორებით გაჩერებას
- ავტომობილების შემოწმებას სხვადასხვა მოწყობილობების არსებობაზე.
- გამავალი ზარებისა და ნავიგაციის ისტორიის წაშლას

საველე ტექნიკოსებს შინამეურნეობების შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია ეძლევათ, რაც აუცილებელია მათი სამუშაო პროცედურებისთვის.

## მონაცემების რეზერვირება და გადაზღვევა

ძირითადი და სარეზერვო სერვერის ოთახები განთავსებულია თბილისში, განსხვავებულ ლოკაციებზე. სერვერის ოთახები აღჭურვილია გაგრილების სისტემით და მხარდაჭერილია დენის წყაროს სარეზერვო, UPS სისტემებითაც. ოთახებში კონტროლდება ტემპერატურა და ტენიანობა.

ორივე ლოკაციაზე შესაძლებელია ყველა არხის რეფერენსირება, ადგილზე არხების შესაბამისი დეკოდერებიც.

საერთო ჯამში ხდება 74 არხის გაზომვა, მათ შორის 13 არის რეგიონული, ხოლო 17 უცხოური სატელევიზიო არხი. რეფერენსირებული არხებიდან 34 არის ქართული სატელევიზიო არხი, რომელთა პროგრამები და სარეკლამო განთავსებები (spots) სრულად მონიტორინგდება. ჩვენ ვადასტურებთ, რომ სატელევიზიო სიგნალის მიღება არხებიდან არის სრულად რეზერვირებული და გადაზღვეული.





ჩვენი დაკვირვებით, საერთო ჯამში, TMI-ს აქვს კარგად დოკუმენტირებული და ყოვლისმომცველი უსაფრთხოებისა და სარეზერვო ასლების შექმნის პროცესი.

კონფიდენციალურობა, ფიზიკური და ქსელური წვდომა პროაქტიულად იმართება და სისტემები კარგად არის მხარდაჭერილი, მოვლილი და გადაზღვეული.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ უსაფრთხოების სისტემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და აუდიტის მოთხოვნებს.

შესაფასებელი საკითხი	კომუნიკაციების კომისიის შესადარებელი სტანდარტი	სტატუსი
სატელევიზიო სიგნალის (არხების) შეგროვება: სატელევიზიო სიგნალების (არხების) რაოდენობა	თითოეულ სატელევიზიო სიგნალზე (არხზე) მინიმუმ ერთი სარეზერვო ასლი	<b>დადასტურებულია</b>
რეფერენსირებული სატელევიზიო არხები ფარავს ქართულ ბაზარს და ყურებადობის მთლიანი სურათის შეფასების საშუალება იძლევა.		<b>კარგი</b>

შესაფასებელი საკითხი		სტატუსი
უსაფრთხოება და მონაცემების დუბლირება / რეზერვაცია		<b>დადასტურებულია</b>
სისტემები კარგად არის შემუშავებული და აღწერილი, ექვემდებარება აქტიურ მართვას, დაკვირვებას, დაცვასა და გადაზღვევას.		<b>კარგი</b>

# დასკვნა

შეჯამებისთვის, ვადასტურებთ , რომ TMI-ის პანელი არის კარგად მართული, ორგანიზებული და შეესაბამება მზომების ყველა საერთაშორისო სტანდარტს.

ქართული სისტემის სტრუქტურა და საქმიანობა არ იქნებოდა დაწუნებული კანტარის ან სხვა რომელიმე მსხვილი მოთამაშის მიერ მართულ არც ერთ ბაზარზე. ჩვენი შეფასებით, კანტარის წამყვანი თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული სისტემაში. აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ აგრეთვე დავინახეთ TMI-ში კვალიფიციური მენეჯმენტი და მოტივირებული პერსონალი.

რა თქმა უნდა, ჩვენ მოხარულნი ვართ ვუპასუხოთ ნებისმიერ შეკითხვებს ან განვახორციელოთ შემდგომი დაკვირვებები, თუ ამას კომუნიკაციების კომისია ან TMI ჩათვლის საჭიროდ.

პატივისცემით,

3M3A

კრისტოფერი ო'ჰირნი

რობერტ რუუდი

ბრენდა ვორთლი

## დანართი 1: დოკუმენტების სია

TMI-ის პრეზენტაცია: მიმოხილვა

საბაზისო კვლევის დიზაინი და რეპორტები 2017-2021 წლებში

საბაზისო კვლევის მონაცემთა ბაზები 2017-2020

- შეწონილი ინდივიდუალურ და შინამეურნეობის დონეზე

საბაზისო კვლევის კითხვარები

პანელის დიზაინი: საკონტროლო ცვლადები და რეკრუტირება

- პანელის საკონტროლო ცვლადების სამიზნე მაჩვენებლები
- პანელის რეკრუტირების წყაროები

დემოგრაფიული განახლების კითხვარი

დამთხვევითობის კვლევის კითხვარი

დამთხვევითობის კვლევის ანგარიშები 2018-2020 წლებში

სამიზნე მაჩვენებლები და გენერალური ერთობლიობის განახლება / აღწერა

ხარისხის კონტროლის ანგარიშები 2018-2021 წლებში

შინამეურნეობის ქცევის 28-დღიანი მაჩვენებლები 2018-2021 წლებში.

ვალიდაციისა და ხარისხის კონტროლის წესები

წონების აღწერა და RIM-ები

- წონების რეპორტები 2018-2021 წლებში

ფიფლმეტრების აღწერა

პანელის სახელმძღვანელო და მასალები

უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პროტოკოლები

## დანართი 2: შინამეურნეობების გამოკასუხების ყოველთვიური მაჩვენებლები 2018-2021 წლებში

ცხრილში მოცემული ინგლისური ტერმინების განმარტებები:

Acceptable HHs - შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც მისაღებად იყო ჩათვლილი Instar Analytic-ში მოსახვედრად

HHs Not Polled - შინამეურნეობების რაოდენობა, საიდანაც მზომებმა ვერ მოახერხეს წარმატებით მონაცემების გადმოცემა

HHs Polled - შინამეურნეობების რაოდენობა, საიდანაც მზომებმა წარმატებით მოახერხეს მონაცემების გადმოცემა

HHs in Production - წარმოებაში არსებული შინამეურნეობები

HHs on Directory - პანელში რეგისტრირებული შინამეურნეობები

თვე	Acceptable HHs	HHs not Polled	HHs Polled	HHs in Production	HHs on Directory
2018-01	508	15	516	526	531
2018-02	509	11	519	523	529
2018-03	512	9	522	524	531
2018-04	519	12	527	533	539
2018-05	519	11	526	534	538
2018-06	515	14	523	530	538
2018-07	516	17	522	534	539
2018-08	511	18	520	531	537
2018-09	515	16	523	532	539
2018-10	515	14	523	531	537
2018-11	514	15	521	530	536
2018-12	511	16	522	528	538



2019-01	514	14	523	530	537
2019-02	526	11	533	537	543
2019-03	521	9	527	532	536
2019-04	518	13	525	532	538
2019-05	521	11	529	534	540
2019-06	519	13	525	533	538
2019-07	516	13	522	530	535
2019-08	510	18	516	530	534
2019-09	516	13	524	531	537
2019-10	514	14	521	529	535
2019-11	513	15	522	529	536
2019-12	513	14	524	527	539
2020-01	515	15	526	531	541
2020-02	518	10	529	529	540
2020-03	519	9	533	529	542
2020-04	518	10	531	530	541
2020-05	514	16	525	528	541
2020-06	519	14	535	534	549
2020-07	520	15	527	537	542

2020-08	521	13	526	536	539
2020-09	524	8	531	533	540
2020-10	518	12	524	528	537
2020-11	524	17	528	536	545
2020-12	519	11	524	531	535
2021-01	525	10	529	534	549
2021-02	528	10	532	537	554
2021-03	526	9	530	535	553
2021-04	525	8	530	532	553
2021-05	524	11	527	535	554

---